ენ დი აკადემიის მისია, ხედვა და ღირებულებები

აკადემიის მისია

შპს ,,ND_აკადემია“ არის მრავალპროფილური საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მისიაა უზრუნველყოს ხარისხიანი სასწავლო და სამუშაო პირობების შექმნა, ხელი შეუწყოს პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლას, პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას. მოამზადოს პროფესიული უნარებით აღჭურვილი, მაღალკვალიფიციური, მრავალპროფილური მიმართულების მქონე სპეციალისტები, რომლებიც წვლილს შეიტანენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.

აკადემიის ხედვა

აკადემიის ხედვაა 2032 წლისათვის ჩამოყალიბდეს თანამედროვე, ინსტიტუციურად მდგრად და ხარისხზე ორიენტირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებად, რომელიც უპასუხებს შრომის ბაზრის გამოწვევებსა და კონკურენტუნარიან საგანმანათლებლო სივრცეში დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს;

აკადემიის ღირებულებები

1. **ხარისხი და პროფესიონალიზმი** — ყველა პროცესი ხორციელდება დადგენილი სტანდარტებისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების საფუძველზე.
2. **მოქნილობა და ხელმისაწვდომობა** — საგანმანათლებლო პროგრამები ხელმისაწვდომია სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფისთვის თანასწორობის პრინციპის დაცვით.
3. **პარტნიორობა და სექტორული ჩართულობა** — პროგრამების დაგეგმვა და განახლება ხორციელდება შრომის ბაზრის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით.

4. **ინკლუზიურობა და თანასწორობა** — აკადემია უზრუნველყოფს დისკრიმინაციისგან თავისუფალ გარემოს.
5. **უწყვეტი გაუმჯობესება** — სტრატეგიული და ოპერაციული გადაწყვეტილებები ეფუძნება მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.